

572
1972

© 1972
1972-1973



ՀԱՅԿ
1972 • ՅՅԵՄԸՆ • 14



სამშობლო

წიგნი 1346

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და ჯანსჯაროვით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.



სამშობლო

წიგნი 1346

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საფარელი საქართველო.



1346





საქართველოს მწერთა კავშირი

როგორ მოაყვებ ლენინსა ქანდაკეები



მ. ზომბანიძე

ნახატები ჩუპუა მუსიკიჩიძისა

ოცდაექვსი წლის ლენინი უკვე საქვეყნოდ ცნობილი რევოლუციონერი იყო. მეფის მთავრობას ძალიან ეშინოდა მისი.

ამიტომ მეფის ბრძანებით იგი დააპატიმრეს.

თოთხმეტი თვე ლენინმა ციხეში გაატარა. მერე კი ციმბირში გადასახლეს სამი წლით.

ციმბირში ერთ გამოყრუებულ სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ ლენინს არც ამის შესინებია: იჯდა და თავაუღებლად მუშაობდა,— წერდა, კითხულობდა; გლეხებთან საუბრობდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა...

თუ თავისუფალი დრო ჰქონდა, ნადირობდა, ან ჰადრაკს თამაშობდა. სხვათა შორის, ჰადრაკი თვითონ გააკეთა, ისეთი ნახელავი იყო, უკეთეს ვერც ინატრებდი. ასე გავიდა სამი წელი და განთავისუფლების დროც მოახლოვდა.

ვლადიმერ ილიას ძე უკვე გვემებს აწყობდა ახალი რევოლუციური მუშაობისათვის, რომ... ქანდაკემები მოადგინენ.

— იცით რა, უნდა გაგჩხრიკოთ... თუ რაიმე საეჭვო ვნახეთ, ერთი სამი წლით კიდევ დაგტოვებთ ამ გამოყრუებულ სოფელში.

ერთი ჩაკურატებული უღვაშადაგრებილი ქანდაკეები კარში ჩადგა, მეორე ჩია ტანის ქანდაკემა ოთახში მიმოიარა და იქაურობა გადააქოთა.

ლენინს აკრძალული წიგნები და რევოლუციური დოკუმენტები წიგნის კარადაში, ქვედა თაროზე ეწყო.





ქანდარმი კარადასაც მიაღვა:

— რა ვაქვთ შიგ?

— წიგნებია!— მიუგო ლენინმა.

— აბა, ერთი, ვნახოთ, რა წიგნებია!— და ქანდარმა კარადა მოათვალიერა, ფიქრობდა საიდან დაეწყო.

„ნეტავ ზემო თაროებიდან დაიწყებდეს“, — გაიფიქრა ვლადიმერ ილიას ძის მკვლელემ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, — „ვიდრე ბოლო თარომდე ჩამოვა, დაიღლება და თავს მიაწვებს“.

ლენინიც ამაზე ფიქრობდა.

უცებ ლენინმა გაიღიმა, აიღო სკამი და კარადას მიაღვა:

— ვგრე ვერ შეწვდებით, სკამზე შედევით. გეთაყვა!

ჩია ქანდარმმა ლენინს მადლობა გადაუხადა და სკამზე შედგა. სამ საათში მხოლოდ

ოთხი თარო გადასინჯა. ისე დაიღობა, არა-
ქათი აღარ ჰქონდა, მებუთე თაროებსაც
თაშორის გადაათვალიერა:

— ძალიან გავვიგრძელდა. არ მოგშივდა?— მთქნარებით ჰკითხა ჩაკურატეულებმა ქანდარმმა სკამზე შემდგარ ჩია ქანდარმს.

— მალე მოვრჩებით და ვისადილოთ; ერთი თაროლა დამჩა.

— დანებე მაგ თაროს თავი, ხომ ხედავ, არაფერია! წავიდეთ, ვკამოთ!

ჩია ქანდარმმა ლენინს გადახედა:

— ასე რომ, საეჭვო ვერაფერი ენახეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ქანდარმებმა რომ კარი გაიხურეს, ვლადიმერ ილიას ძემ და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

თარგმანი პენი ნარკოტაძე

ფისუნია

ლაგვეკარგა

მორამი კაჭანიძე



ფისუნია ლაგვეკარგა,
დიღხანს, დიღხანს ვიდარდე.
სულ მახსოვდა მისი ფერი,
თამაში და სიმარდე.

გუშინ უცებ კარს მოგვადგა
სხვა შნოთი და სხვა ღონით:
სამი კნუტი მოიყვანა,
ყველა დედის გამგონი.

ნახატი შაქრო შაქრბაძისა

იოსებ ნუნუაძე

მაღალია ჩვენი დროშა,
ჩვენი გული მაგარია.
ჩვენც სამშობლოს გავებრდებით
ტიტოვად და გაგარინად.



პიონერი

რადგან პიონერი
მხოლოდ პირველს ნიშნავს,
ყველას, ვინც კი თავს თვლის
ამ სახელის ღირსად
და ყელსახვევს წითელს
უფრიალებს ქარი,
მუდამ კარგად ახსოვს
პიონერის ვალი:
მისაბაძი გახდეს
ყველგან — სახლშიც, კარშიც,
ისახელოს თავი
სწავლითა და გარჯით.
გაპყვეს ლალად გაშლილ
ღიღი დროშის ციმციმს,
შუქად ენთოს გულში
პიონერის ფიცი.

ნახატები ჩაუკაზ სანთაძისა



ბარს, ყველაფერს თავს ანებებს და მაშინვე მისკენ გამორბის.

- გამარჯობა!—უბნებდა კოლა.
- გაგმარჯოს!—თავს უქნევს ვანო.
- როგორა ხარ, რასა იქ?—ისე კითხულობენ მეგობრები, თითქოს კარგა ხანია, ერთმანეთი არ ენახათ.
- იუ, რა ბაღახია თქვენს ბაღახში!—თავს აქნევს კოლა.
- მაშ, ახლა გოგრა ბაღს აღარ იკითხავ,

მეზობლები

ნოზარ კაკალიძე

ერთ სოფელში ორი მეგობარი ცხოვრობს. ერთს კოლა ჰქვია, მეორეს—ვანო. მეზობლები არიან, ორივენი ერთ კლასში დადიან და ერთ მერხზე სხედან.

მათ ბაღა-ბაღს ერთი ტყრუშული ღობე ჰყოფს.

კოლას რომ ვანო მოენატრება, გადადგება ღობეზე და გადასძახებს—ჰაი, ვანო!

ვანო იმ წუთში გამოენთება სახლიდან, ხელს მოიჩრდილებს და იცქირება, ვინ მემახისო. შენიშნავს თუ არა, ღობეზე გადმოკიდებულ მეგო-

ნახატები პახანან გულინაშვილისა

როგორა ჰყვავის?!

— არც ჩვენას ასხია ნაკლებად. იცი, მსხაღლი როგორ არის გადაბარდილი?—თავს იწონებს კოლა.

— იჰ, ჭიანი მსხაღლი გინდ ყოფილა და გინდ არა!—ჩაიფრუკუნებს ვანო.

— რომელია, ბიკო, ჭიანი? თქვენს პანტაზე ხომ არ იძახი!—წამოწითდა კოლა.

— სად გვიდგა პანტა? გულაბ მსხაღს პანტას ეძახი?—იწყინა ვანომ,—პანტა თქვენს ბაღახში მოიკითხე!

— სად გიღვათ თორემ, მართალი არ არის! —
არ უთმობდა კოლა.

— რას ამბობ, რაას? — ხმას აუწია ვანომ, —
რა ტყუილებს იგონებ, შარშან არ იყო თქვენს
მსხლებს არ ესხა და ჩვენ რომ გადაგვიხვით, და-
გავიწყდა?

— მერე რა მოხდა, ის ხომ არ დაგვიწყებია,
თქვენი მავე ძროხა ხევში რომ გადაიჩეხა და
გაბეჩრწდა, ვინ გაძღვედა რძესა, ჰა?..

— ჩვენ რომ ყურძენი მოგვცოთ!

— კიი, აბა! ეგ მართლა ტყუილებია და მეტი
არაფერი!

— მაშ, ტყუილებია?..

— ისევე რა გითხრა შენ! — მთელი ხმით
აყვირა ვანო, მერე ველარ მოითმინა და კოლას
მჯილი ჰკრა გვერდში. კოლამაც არ დაუთმო და
ატყდა ერთი ძიძგილ-ძიძგილი.

— ვაიშე, დედიო! — აღრიდა ვანო.

— ვაიშე! — აწყვა კოლაც.

კიდეე კარგი შშობლებმა დროზე მოუსწრეს ბი-
ჭებს და გააშველეს, თორემ ვინ იცის, რით დამ-
თავრდებოდა მათი კინკლაობა.

ის დღე იყო და, კოლა ვანოს აღარ დადაპარა-
კებია, ვანო კიდეე — კოლას. სკოლაშიც დადიო-
დნენ, წყაროზეც, მაგრამ ხმის გაცემას არც ერ-
თი აპირებდა და არც — შეოგრ.

ის კი არა, კოლამ მამამისს სთხოვა, ლობე
ცოტა კიდეე ავამალლოთო: მამამისმაც ხათრი
არ გაუტეხა, ტყიდან წნედი ჩამოიტანეს და
ტყრუშუდ ლობეს ორ მტკავედზე წნედი დაამა-
ტეს.

ახლა ვანო აუტყდა მამამისს, გინდა თუ არა,
ჩვენც დავალობოთო. ისინიც ასე მოიქცნენ.

მოკლე, მათ შორის ისეთი ლობე აღიმართა,
რომ ჩიტიც ვერ გადაფრინებოდა.

ერთხელაც ვანო ავეა გახდა და ღოგინად ჩა-
ვარდა. კოლა ხედავდა, რომ ვანო სკოლაში აღარ
დადიოდა და ძაღზე ჰკვირობდა, ნეტა რა დაემარ-
თა, რატომ აღარსად გამოჩნდაო. ბიჭმა ითმინა,
ითმინა და ერთ დღეს დედას უთხრა:

— დედი, კვირაზე მეტია, ვანო სკოლაში არ
მოხულა. ხომ არ იცი, რატომ არ დადის, ჰა?..

— რა ვიცი, აბა? — დედას ეშმაკურად ჩაელიმა
და შვილს ცადი თვადით გადახედა.

— კაცო, იქნებ რა უჭირს, რა იცი!

— თუ ეგრე ძაღიან გაინტერესებს, წადი და
ნახე!



— ვნახო?— რატომღაც არ ეკაშნიკა კოდას,—
რალა მე ვნახო, იმან მნახოს რა!..

— მერე დღეს კოდამ სკოლაში გაიგო, ვანო
ავად გამხდარა და ღვგინში წვესო. ერიპაა, ანდა
კი შეფიქრიანდა. მოვიდა თუ არა შინ, მყისვე
ლობეს ეცა და ვანოს კარ-მიდამოს გადახედა.
ირგვრივ ჩქამიცი არ ისმოდა.

— ვახ, მართლა ავად რომ იყოს, ეე!— ჩაიბუ-
რდუნა კოდამ და ლობიდან გაპირვებით ჩამო-

ბობლდა,— მაინც რამსიმადლისაა ეს ლობერი
უცმაყოფილოდ ჩაიდაპარაკა კოდამ და
ლობეს წიხრი ამოჰკრა.

მერე დიგხანს იწრიდა ეზოში, ხან რას მოუღო.
ხან— რას. ბოლოს ისევ დედასთან მივიდა:

— დედი, ერთი ქილა ბღის მურაბა მომე, ვა-
ნო უნდა ვინახულო!

დედას შუბლი გაეხსნა:

— ეგრე, გენაცვალოს დედა, მეგობრების ჩხუ-
ბი ვის გაუგია, შვილი!

დაფაცურდა კოდას დედა. კალათაში ქილა მუ-
რაბის გარდა, რალაც— რალაცეები ჩააწყო და ისე
გაისტუმრა შვილი.

— ვანო!— მიაგდა კოდა, ვანოს სახე-კარს.
ჯერ ნაგაბი აღავლავდა. მერე, აივანზე ვანოს
დედა გადმოგდა და სტუმარს გადმოხედა. ეზოში
კოდა რომ დაღანდა, ჩაუღიმა და კიბებზე დაეშვა



— მოდი, შვილი, მოდი! რა ხანია ვანო გკი-
თხულობს.

ვანო სიხარულით ცას ეწია, ისხნენ და ერთ-
მანეთს სთავაზობდნენ ზღისა თუ მურაბას.

— აუჰ, რა ბღის მურაბა გაქვს, კოდა?—
ეუბნება მეგობარს ვანო.

— მაშ, ახლა შენველა დეღვის მურაბა რა-
ლაა, იფ, იფ!— იღიმება კოდა და თან დეღვის
მურაბას ღმურძღის...



სამღუკამში



ერთი თვეა ფისუნისას
 თეფშზე კარაქს ალარ ვუღებ,
 არც რძეს ვასმევ,
 არც ძეხვს ვაჭმევ,
 არც მასა და არც მის კნუტებს.
 არ იკითხავთ რად ვემდური,
 ანდა რისთვის გავებუტე?
 თუ არ იცით, მოგახსენებთ,—
 მომიმაღეს მერცხლის ბუდე.

კეთილნოს ვეღკეცა მზისაღმი

ნოღარ ლუგაძე

მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
 ნუ ჩაეშვები ზღვაში,
 ზღვას ცეცხლი წაეკიდება,
 ჩემი მამა ზის ნავში.
 იმას რომ რამე შეემთხვეს,
 რა მემშველება მაშინ.
 მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
 არც მე დაგრჩები ვაღში,
 დიღით რომ ამობრძანდები,
 შეეგებები ტაშით.





წიგან-ნიგანიშელს საამჟამო

ურთაჯაგუზი

პახანე კახიძე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი, სახელად ვანიკო ერჭვა. ერთ დღეს ვანიკოს ქათმის ლაშში ფრთა ექირა ხელში და ტრიალ მინდორზე დააფრიალებდა. სად იყო და სად არა, კურკაც იქვე გაჩნდა და ფრთას დაადგა თვალი.

— ამ ფრთისაგან იცი რას გავაკეთებო? — უთხრა კურკამ.

— არ ვიციო, — უპასუხა ვანიკომ.

— რას გავაკეთებ და, ფრთაჯამბაზს გავაკეთებო, ოღონდ შენ ის მითხარი, დინდგლი თუ გაქვსო?

— როგორ არაო, ეზოში ფუტკარი გვიდგას და დინდგლის მგტი რა მუქნებო, — თქვა ვანიკომ და ჯიბიდან დინდგლი ამოიღო.

— ჰოდა, აბა, ქინძისთავიც აგერ მაქვსო.

კურკა კირკიტლამ გულისპირიდან ქინძისთავი ამოიძრო და თავით ქათმის ფრთის ბოლოში ჩაურჭო. დინდგლი ხელით დაარბილა, ქინძისთავსა და ფრთას ისე შემოახვია, გეგონებოდათ, პატარა თითისტარი გააკეთაო. ამას რომ მოჩა, ვანიკოს უთხრა:

— წამოდი, ვანიკო, შენი სახლი ყველაზე ახლოსაა, შენთან წავიდეთო.

ეზოში შევიდნენ და კურკამ სახლის კედელს სტყორცნა ფრთაჯამბაზი. იგი ბზრიალ-ტრიალით წავიდა და კედელზე დაერჭო. ახლა ვანიკომ ისრაოლა, მერე ისევ — კურკამ. ასე თამაშობდნენ ბიჭები რიგ-რიგობით.



დედა, დილა და დათო

ნაზა ბარკულაძე

ქართული
ენების
საქართველოს
ნაბატი ზარბაზნაძის

მზე ამოვიდა თბილი.

დგანან დედა და შვილი;

ტრიალ მინდორზე დგანან,
ვინმეს ელიან კანა?

ცაში ტორთა ვალობს,
სწრაფი გააქვს წყაროს.

მწვანედ დაბურულ ტყეში
მხოლოდ კოდალა სწენის.

სწენის კი არა, დინჯად
სის ჯანშრთელობას სინჯავს.

დათო ევკლებურს სედავს
და ეუბნება დედას:

— რა ლამაზია, დედი,
ამწვანებული ქედი.

ეს კაზაფხული მართლა
მოვიდა სოფლის კართან.

თავსაფრინი ჩალი
დათოს აწყენებს თვალთ.

— დათო, უცქირე, დათო,
ველზე მარტონი ვართო.

აი, ენძელა, სედავ,
შენ გენაცვალოს დედა!

აი, ამ სედიფურ იას
მასწრობელი ჰქვია...

ჰქრის ნიაფქარი თბილი,
დგანან დედა და შვილი.





წ ვ რ ი ლ ა ს მეორე ფატირაკი

სოლომონ ლავრანაშვილი

(დასასრული)

ნახატები ლიმიზირი ზარაშვილისა

ერთი სიტყვით, თავი რომ არ მოგაბეზროთ, მეორე დილით მე და ცუდლუტამ გვარიანად ვინადირეთ და თითო ქათამი ჩვენს დამშვეულ ძმებსაც წამოვუღეთ. მაშინ კი დაეცნენ სხვა მგლები მუხლებზე, ჩემს მზეს იფიცავენ, შენ რომ არ გვყავდე, წვრილავ, არ ვიცით, სამეღეთეს რა ვშველებოდაო. ლოცავენ ჩემს ვაჟაკობას, ჭკუასა და გამქრიახობასა. ასე გავატარეთ ის გაძლიერებული ზამთარი.

ერთ ღამეს მე და ცუდლუტას ცანცალა და სუნსულაც წამოგვეყენე, სულ ოთხნი ვიყავით. რატომ არ დაიქცა ის წუთი და საათი, ძმებო, რატომ? რა შვად გავციოთ და ის დაწვედლილი დღე.

ციკრისას ოთხივენი შევძვერით მიღში და იმ დიდ ეზოში ამოვყავით თავი. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, მაგრამ

ნამძინარევი ქათმები უკვე ეზოში გამოფენილიყვნენ.

ერთი სიტყვით, ნადირობამ მშვიდად ჩაიარა, თითო-თითო ქათამი დავიქირეთ, გამოვედით მახლობელ ხევში და შევექცევით. კარგა გამაძღრები ვართ, მეტი რაღა გვინდა. ჯერ ისევ სისხამი დილაა და ახლომახლო კაციც არ ჰქაუნებს.

— ძან გაძეხი, ძმებო, — ამბობს სუნსულა და მუცელზე თათს იტყაპუნებს, — ცოტა უნდა გავირბინ-გამოვირბინო თორემ კუჭი გამისკდება.

— ჩვენც მაგას ვფიქრობდით, — ევერი დაუკრეს ცანცალამ და ცუდლუტამ, ხვეიდან გამოვიდნენ, მიცანცალდნენ სამივენი მილთან და ზედ აბობდნენ. გაიცანცალევენ და გამოიცანცალევენ, გაიცანცალევენ და გამოიცანცალევენ; ხან ერთმანეთს ახტებიან, ხან

მილიდან ისკუბებენ. მიველი და ვეუბნები, დროა წავედეთ, ძაან ნუ გათამამდებით, აგერ ხომ ხედავთ, სამზეური გაწითლდა, საღაცაა ჭეყანა ფეხს აიდგამს და ფათერაკს რამეს არ გადაეყაროთ-მეთქი. მაგრამ ვინ დაგიჯერა.

გჷ, ჭკუავ, ჭკუავ! წერამ აიტანა თუ რა იყო, გაქვევდნენ და გახევდნენ, ვერაფერი შევსამინე, ძმებო, ვერაფერი.—წერილამ ამოიხზრა, წუთიერად დაღუძდა, თავი ჩაქინდრა. სხვა მელიებმაღ ამოიხზრეს, ჯოხებს უფრო მაგრად დაღებდნენ და მიწას ჩააჩერდნენ.

— ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, ახლაც ცოცხლები იქნებოდნენ; ჩვენთან იქნებოდნენ... გავიხდევ და, რას ვხედავ, ერთი დიდი ავტომობილი მორახზახზებს... იმოღვნა ხმა აქეს, ლამის ცა ჩამოინგრეს, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მანქანა ხომ ადამიანით საშიში არ არის. მოგვიახლოვდა და უცხად გაჩერდა. ვხედავ, ავტომობილის კაბინიდან ადამიანი იყურება, პირდაპირ ჩვენ მოგვჩერებია გაოცებული.

ეს კი მოვასწარი, მომყვით-მეთქი, მაგრამ არც მაშინ დამიჯერეს. სამივენი იმ მილში შეცვივდნენ. მე ვაკვანდი და ხევში დავიმაღე. სული რომ მოვითქვი, ბუჩქებიდან გაეჭკიტე. მოგიკვდეთ ჩემი თავი, ძმებო! ნე-

ტავ ჩემი თვალით არ დამენახა ყველაფერი.—წერილამ ახლა კი ვეღარ შეიკავებოდა ვი, ცრემლი მოეძალა.

— დაწყნარდი, წერილავე, დაწყნარდი და ისე გვიამბე. ვაჟაკი ხარ, ცრემლი რა საკადრისია.—ამხნევებდნენ მელიები და თვითონაც ცრემლს იწმენდნენ.

— ახლაც ტანში ჟრუანტელი მივლის, იმ სურათს რომ წარმოვიდგენ ხოლმე... ხვნეშით და ბუტბუტით წამოვიდა ლოყებლაყლაყა შოფერი. ერთი დიდი კეტრი აიღო, მერე თავისი დაბამული ქურთუკი გაიხალა და იმ მილისკენ წაბაჯბაჯდა, საღაც ჩვენს ძმებო



ეგულებოდა. გამოვიკირდა, ამ სიცივეში ქურ-
თუკი რად ვახიდა-მეთქი, მაგრამ მერე მივხ-
ვდი იმის ეშმაკობას. იცით რა გააკეთა? იმ
ქურთუყით ცალი მხრიდან მაგრად დაწულა
ის მილი, ამოქოლა. ხოლო მეორე მხრიდან
თვითონ ჩაუსადრდა კეტომომარჯვებული. ოხ,
რა ეშმაკები არიან ადამიანები, ყველა ხერხი
იმით უნდა გამოიგონონ!

რომ აღარ და აღარ გამოვიდნენ მეღიები,
ის კეტი რამდენჯერმე დაპკრა მილს. აღბათ
ამ ხმაურმა დააფრთხო ის საცოდავები, ნეტავ
მილიდან ფეხი არ მოეცვალათ! პირველად
ცანცალა გამოვარდა დაფეთებული, გამოვარ-
და და უცებ იმ მუცელგაბერილობა შიგ წელ-
ში დაუროთო კეტი. რატო თვალები არ და-
მეთხარა ამის დამნაზეს. ერთი საცოდავად
დაიხავლა ცანცალამ და იქვე მიწვა. ის მუ-
ცელგაბერილი შოფერი იცინის, კვდება სი-
ცილით. ჰო, რა გულქევა ადამიანი! კვლავ
დაპკრა კეტი მილს და ახლა სუნსულა გამო-
ვარდა. იმასაც დაუროთო კეტი და იქვე მიაწ-
ვინა. მერე... მერე ნულარაფერს მკითხავთ,
მშებო, ცულლუტასაც იმათი ბედი ეწია.

აილო ქურთუყი იმ შოფერმა და დინჯად
ჩაიკვა. მერე დახოცილები წამოკრთა, მან-

ქანაზე დაყარა და არხენად გაულდა ვხას.
ნეტავ მეც იმათთან ვყოფილიყავ, იმანთა
დი გამეზიარებინა. რად მინდოდა სიცი-
ლე, რად?—და წერილა ისევ დაიბოლმა,
თავი ჩაქინდრა, სხვა მეღიებიც დაიქუფრნენ.



დაიღრუბლნენ, მერე ისევ იმათ გამოიდგს თავი, წერილა გაამხნევეს, რა უუყოთ, ჩვენი ბედი ესა ყოფილაო, შენც რომ იმათთან დაღუპულიყავი, ამით საქმეს რას უშველიდიო, კარგი იყო შენთვის დაეჯერებინათ, მაგრამ ბედისწერა ყოფილა და გვ არისო.

როდის-როდის წერილამ თავი ასწია, მეღივებს ამაყად გადახვდა და ხმა დაიბოხა:

— რამდენი ამისთანა ფათერაკი დამტყლო-მია თავს და მაინც ცოცხალი ვარ. ერთხელ ხაფანგში გამაბეს, მაგრამ მაშინაც ჩემმა ჭკუამ და გამჭრიახობამ მიხსნა, თუმცა ამ ამაბეს სხვა ღროს ვიამბობთ.

— დარდით რა ვშველებმა, წერილავ, დავივიწყოთ წარსული, გამხიარულდი, გული-დან დარდი ვადაიყარე!— შესძახა კოკლმა თხელამ, მერე გამჭვარტლული ჩონგური გადმოიღო, დაბალ ხმაზე დააქლარუნა; თან აქლარუნებს და თან წერილას მიმართავს:

— წერილავ, შენ ჩვენი სიამაყე ხარ, შენი ვაჟკაცური თავგადასავლებით სამეღეთი ამაყობ, და ჩონგურს უფრო გაბედულად ჩამო-

ჰკრა ხელი, ააჩქარა, ააქენესა და ბებრულმაგრამ ტკბილ ხმაზე დაამღერა.

— ოჰო-ჰო, ერთი დახედეთ ამ კოკლზემ რუხანასა, რა შიირი გამოუგონია!— იცინიან მელეები, გაკვირვების ნიშნად ტაშს სცემენ. თხელაც კმაყოფილებით იცინის, მერე ჩონგურს წერილას აწვდის, ახლა შენა თქელიო.

წერილა ჩონგურს ართმევს, ტკბილად აქლერებს:

აბა, რა გითხრათ, ბიჭებო!
სიტყვა სათქმელად ძნელია;
მუხლი არ მომდევს, თვალშიაც
სინათლე გამომეგლია,
რით გავცე მტერსა პასუხი,
ვერ ამოღია წელია.

— ოჰო-ჰო,— ტაშს სცემენ მელეები და ისევ იცინიან, ოღონდ ახლა ეს სიცილი ცოტა სევდიანია, ცოტა ნალვლიანიც.

— ჰაი, დედასა!— იძახიან ბებერი მელეები და იმათი ოხვრა და ურვა, იმათი ხორხოცი მთელ ტყეს აყრუებს.

92811





ჯოხი


როსტომ ულანიძე

ლია და თალიკო ეზოში თამაშობდნენ, ერთი ჯოხი შენიშნეს, ერთად სტაცეს ხელი. ერთმა იქით ვასწია, მეორემ—აქეთ:—არა ჩემია, არა ჩემიაო. ამ ძიძგილში ჯოხი გადატყდა,—ნახევარი ლიას შერჩა ხელში, ნახევარი—თალიკოს...

ორივეს გაეცინა ჯოხის ნატეხები იქვე შიგდეს და თამაში განაგრძეს.



თავსაცუხი




შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ტბების სახელებით.

შეადგინა საირბის საშ. სკოლის მოსწავლემ მანანა გოგოლაძემ.

რეცეპტი



ა



ბ



ვ

შეადგინა სოფ. დირბის საშუალო სკოლის მოსწავლემ ლადი გელუტაშვილმა.

გამოცანები

მარდია და ყურგრძელი,
რა იქნება?!



ენის გასაგებადი

მიწა ჟიჟინაია

წუწკი, კუდაგრძელია,
რა იქნება?!



ცივი
ცვარი
ცივია
ციდან.

ყუყარს ხმელი ნიყვი,
რა იქნება?!



ცივა,
ცივა
ციდა
ციდანს.

ბალ-ბოსტანში დარბის,
რა იქნება?!



ცხვი და
ცხვიკო—
აცემინებს
ციცქნა
ცხვირი
გაუცივდა.

ათა-ბატა დადის,
რა იქნება?!



დარაჯია სახლის,
რა იქნება?!



მიორბი მგვრეველი

* * *

აწწვილი,
გაწწვილი,
წისქვიდის წინ
წუხს წიწვილი.

წია!—წია!—
მწარედ წივის.
წნორის წნეღებ
წაჰკრა წვივი.



მთავარი რედაქტორი მ. შატავაძე

საბჭოთა კულტურის ენობრივი მუშაობის განყოფილება, ლეონიდა ბრატოვი, ჯეიშელ ლეონიდა, ვაჟა-ფშაველას
სამხატვრო აკადემიის, თბილისი, მ. შატავაძის ქ. 33, მე-10 კმ. 33-10-32, 33-98-17, საბ. რედაქტორი — 33-98-18, ვიკი — 33-98-13, საბჭოთა — 33-98-18.
421, უბან ცა-ის და ვ. ა. ლენინის სახელობის წითელ კონსერვატორიის რედაქციისთვის მუშაობისათვის დასაწყისისათვის
უბან, მთავარი მუშაობის განყოფილება, თბილისი, მ. შატავაძის ქ. 33, მე-10 კმ. 33-10-32, 33-98-17, საბ. რედაქტორი — 33-98-18, ვიკი — 33-98-13, საბჭოთა — 33-98-18.

საქ. კვ. ცა-ის
კამპიუტერული

Издательство
ЦК КП Грузии

საბჭოთა კულტურის ენობრივი მუშაობის განყოფილება, ლეონიდა ბრატოვი, ჯეიშელ ლეონიდა, ვაჟა-ფშაველას
სამხატვრო აკადემიის, თბილისი, მ. შატავაძის ქ. 33, მე-10 კმ. 33-10-32, 33-98-17, საბ. რედაქტორი — 33-98-18, ვიკი — 33-98-13, საბჭოთა — 33-98-18.

გადეცა: ასაწილებად 28/1-72 წ., ბელაშვილისა დასახელებული 15/11-72 წ., ვიკი — 33-98-13, საბჭოთა — 33-98-18.

დის. ნაბ. ფურც. 20, ტირაჟი 100.000. შპს № 351. „ლიტა“ № 4. საბჭოთა კულტურის განყოფილება, თბილისი, მ. შატავაძის ქ. 33, მე-10 კმ.

6.54/92

76055

საქართველოს
განათლების
მინისტროსთვის



„გოგონა“—ნახატი ნინკო არსენიშვილისა, 4 წლის, თბილისი.

„ვაფხულო“—ნახატი ნესტან დანელიასი, 8 წლის, ქუთაისი.

„ზემზე“—ნახატი დალი ნაღიზაძისა, 7 წლის, თბილისი.

„ვაფხულო“—ნახატი მარიანე ხოსროშვილისა, 6 წლის, სოფ. ენისელი.

„ია“—ნახატი დათო კაკაბაძისა, 5 წლის, ვანი.

„აი, ია“—ნახატი ნანა მერაბეშვილისა, 7 წლის, თბილისი.

